საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სენატის

2015 წლის 15 სექტემბრის №91 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და, შესაბამისად, სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სენატმა დაადგინა: დამტკიცდეს სტუ-ის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და, შესაბამისად, სტუ-ის 2015 წლის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 10000 ლარი გადატანილ იქნეს მივლინების მუხლში;
2. არაფინანსური აქტივების მუხლის „ელექტრო მოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების და ავეჯის შეძენის“ პუნქტიდან 10000 ლარი გადატანილ იქნეს „სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ პუნქტში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული.

სტუ-ის სენატის

სპიკერი, პროფესორი ჯემალ გახოკიძე